

დია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

მეორე ანგარიში



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

თბილისი, 2017

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ონიანი
კვლევის ხელმძღვანელი: ლიკა საჭაია
წამყვანი მკვლევარები: გიორგი თოფურია, თამარ ტატანაშვილი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №61, 0102 საქართველო
ტელეფონი: (+995 32) 292 14 03
ელფოსტა: info@transparency.ge parliament@transparency.ge
ვებგვერდი: <http://transparency.ge> <http://MyParliament.ge>

ეს ანგარიში მომზადდა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი“ ფარგლებში.

კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GOOD GOVERNANCE
INITIATIVE

დემოკრატიული მმართველობის
ინიციატივა

I	მოკლე შეჯამება	3
II	„ღია მმართველობის პარტნიორობა“ და ღია პარლამენტი	5
III	საქართველო და ღია პარლამენტი	6
IV	მეთოდოლოგია	7
	1.1 კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა	8
	1.2 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით	10
	1.3 მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში	12
	1.4 ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა	14
	1.5 დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა	16
	1.6 საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება	18
	2.1 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება	20
	2.2 საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება	22
	2.3 კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება	24
	2.4. კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე	26
	2.5 პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება	28
	2.6. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება	30
	3.1 პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება	32
	3.2 ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება.	34
	4.1 ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა	36
	4.2 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება	38
	4.3 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება	40
	4.4 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება	42
	რეკომენდაცია	44

მოკლე შეჯამება

საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა შედგება 18 ვალდებულებებისგან, რომელიც შემუშავებულ იქნა პარლამენტში შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ. ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და საპარლამენტო ფარქციების წარმომადგენელი პარლამენტის წევრები. სამოქმედო გეგმის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის და პარლამენტთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის ღიაობის გაზრდა.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან 15 შეთავაზებულ იქნა საკონსულტაციო ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ხოლო სამი ვალდებულება საქართველოს პარლამენტის აპარატისა და ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და უკვე შესრულებული ვალდებულებები, კერძოდ: კონცენფციების შემუშავება, ბიუჯეტი და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები - მეტწილად მომზადდა საკონსულტაციო ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რამდენიმე ვალდებულება არ შეიცავს სათანადო ინდიკატორებს, ეს კი თავის მხრივ იმპლემენტაციის პროცესის ობიექტურად შეფასების სირთულეს განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მიღების პროცესი წარმატებული იყო, არსებობდა მნიშვნელოვანი ხარვეზები გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში პარლამენტის მიერ შესაბამისი ცვლილებების მიღების თვალსაზრისით. შესაძლებელია ითქვას, რომ პარლამენტის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებამ განაპირობა ვალდებულებების უმრავლესობის შეუსრულებლობა და ასევე შესრულებული ვალდებულებების უმრავლესობის დაგვიანებით მიღება. რეალური საფრთხე არსებობს იმის, რომ მსგავსი ხარვეზები განმეორდეს ღია პარლამენტის მომდევნო სამოქმედო გეგმის მიღებისას.

მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტთან მიმართებაში არსებობდა სამი ძირითადი დაბრკოლება, რომლებმაც განაპირობა იმპლემენტაციის პროცესის არასათანადო ხარისხი. უფრო ზუსტად:

მოკლე მიმოხილვა

ღია პარლამენტის წევრი
- 2015 წლიდან

ვალდებულებათა
რაოდენობა: 18

**ვალდებულებათა
შესრულების
მდგომარეობა:**

შესრულებულია: 5
არ არის შესრულებული: 13

**ძირითადი ეტაპების
შესრულების დროულობა:**

დროულად
შესრულებულია: 13
დაგვიანებულია: 22

1) ვალდებულებების განხორციელების გრაფიკის არარსებობა

პარლამენტმა ვერ შეიმუშავა მკაფიო და კონკრეტული გრაფიკი, რომელიც ასახავდა ვალდებულებების ინდიკატორების შესრულების პერიოდს (თარიღს). მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ვალდებულებასთან მიმართებაში იყო განსაზღვრული ბოლო ვადა, არ იყო აღნიშნული შესრულების ეტაპების შესახებ გრაფიკი. აღნიშნულმა განაპირობა, ის ფაქტი, რომ ვალდებულებების შესრულება მოხდა საბოლოო ვადის მიწურულს და ასევე მის შემდეგ.

2) ღია და გამჭვირვალე მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინაციის არარსებობა

პარლამენტის ღიობის პროცესს უზრუნველყოფს და წარმართავს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო (შემდეგში მუდმივმოქმედი საბჭო). საბჭო შედგება თავმჯდომარისაგან, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე წარადგენს და თითოეული საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებისაგან. ფრაქციების წარმომადგენლებსა და წარმოდგენილ ფრაქციებს შორის კოორდინაცია აღმოჩნდა სუსტი, პარლამენტის ზოგიერთი წევრი, მათ შორის ისინიც ვინც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანად მონაწილეობდნენ, არ იყვნენ ინფორმირებულნი საბჭოში არსებული ძირითადი შეთანხმებების შესახებ. კოორდინაციის ნაკლებობის შედეგი იყოს ის რომ შეფერხდა ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებით ისინი, რომელიც უკვე მომზადებული და დასრულებული სახით (საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი) იყო წარმოდგენილი.

3) არსებითი რეფორმების განხორციელებაზე პოლიტიკური ნების არარსებობა

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა თავდაპირველად შემუშავდა, ხოლო შემდგომ მიღებულ იქნა თავისი „ამბიციური“ შინაარსით, მათ შორის იგულისხმება რამდენიმე ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის საქმიანობის პროცესში რადიკალური რეფორმების გატარებას. ეს „ამბიციური“ მიზნები და მოლოდინები არ იქნა გაზიარებული სამოქმედო გეგმის მიღების შემდგომ პერიოდში. ვალდებულებების ინტერპრეტაცია განაპირობებდა არსებით განსხვავებას თავდაპირველ და საბჭოს მიერ მიღებულ ვერსიებს შორის, რამაც შეამცირა ეფექტურობა და შესაბამისად პოლიტიკური ნების არარსებობის გამო ვერ იქნა მიღწეული პარლამენტის საქმიანობაში რეალური და მნიშვნელოვანი ცვლილებები. მაგალითად, მუდმივმოქმედმა საბჭომ არ მიიღო ეთიკის კოდექსის ის ვარიანტი, რომელიც სანქციებსაც ითვალისწინებდა, აღნიშნულის ნაცვლად პარლამენტს წარედგინა ზოგადი პრინციპების შემცველი, რომელსაც არ გააჩნია აღსრულების მექანიზმები.

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ და ღია პარლამენტი

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP) არის საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც დაიწყო 2011 წელს საერთაშორისო პლატფორმის უზრუნველყოფის მიზნით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას ხელისუფლება გახადონ უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული.

თავდაპირველად „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივა ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ღიაობის, ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.

2014 წლიდან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პლატფორმა გაფართოვდა და მოიცვა საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაც. 2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეადგინა და მიიღო ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და ასევე ხელი მოაწერა „დეკლარაციას ღია პარლამენტის შესახებ“.

საფრანგეთის, ჩილესა და უკრაინის საკანონმდებლო ორგანოებს ასევე შემუშავებული აქვთ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და აღებული აქვთ რეფორმების განხორციელების ვალდებულება საკანონმდებლო ორგანოს ღიაობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით.

ღია პარლამენტის ინიციატივა არ წარმოადგენს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ოფიციალურ ნაწილს, თუმცა აღიარებული და მხარდაჭერილია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მიერ.

საქართველო და ღია პარლამენტი

2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა პარლამენტის ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფისა და საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით შედეგად. 2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დაფუძნდა „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო“, და ამგვარად ჩაანაცვლა პარლამენტის ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი.

„ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ დახმარებას უწევს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო საბჭოს¹ ამოცანაა საპარლამენტო საბჭოსთვის რეკომენდაციების და წინადადებების მომზადება, უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელების მონიტორინგი.

¹ საკონსულტაციო ჯგუფის წევრები არიან: „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ტამპსტარტ ჯორჯია“, „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“, „გაეროს განვითარების პროგრამა“ (UNDP), „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო“ (USAID), „ღია საზოგადოება - საქართველო“, „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი“ (GIZ), „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმა“, „ევროპის საბჭო“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი“.

მეთოდოლოგია

„ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში“ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების პირველი მექანიზმია. იგი ეფუძნება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ დამოუკიდებელი ანგარიშის კითხვარსა და სახელმძღვანელო მითითებებს, ღია პარლამენტის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუთა ერთობლიობის და მონაცემთა ანალიზს. თითოეული ვალდებულებისთვის შესრულების ანალიზისთვის მოცემულია ექვსი ძირითადი კომპონენტი და მათ საფუძველზე შექმნილი გრაფიკი:

- **„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები:** აღნიშნულია „ღია მმართველობის“ რომელი ძირითადი პრინციპის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად კონკრეტული ვალდებულების შესრულება
- **პოტენციური ზეგავლენა:** შეფასებულია ვალდებულების პოტენციური ზეგავლენის მნიშვნელობა, რომელიც მერყეობს არცერთიდან (ყველაზე დაბალი) ტრანსფორმაციულამდე (ყველაზე მაღალი).
- **ვალდებულების შესრულების ძირითადი ეტაპები:** აღწერილია ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული ვალდებულების განხორციელების განხორციელების დაწყების და დასრულების თარიღები, ძირითადი ეტაპები და ასევე შესრულების მდგომარეობა (შესრულებულია, შესრულდა დაგვიანებით, უმეტესი ნაწილი შესრულებულია, ნაწილობრივ შესრულდა, შესრულების პროცესშია და არ არის შესრულებული) და დროულობა (სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადაში ან დაგვიანებით).
- **ინფორმაცია ვალდებულების შესახებ:** მოიცავს ვალდებულების, არსებული მდგომარეობისა და ცვლილების საჭიროების მიმოხილვას.
- **ვალდებულების შესრულება:** აღწერილია ვალდებულების განხორციელების პროცესი
- **შეჯამება:** მოიცავს ვალდებულებასთან დაკავშირებულ ზოგად მიმოხილვასა და რეკომენდაციებს.

**1.1 კანონპროექტებზე კომენტარის
(ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა**

„ღია შმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ- ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს- ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელებ- ის ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციის შემუშავება	10/2015	12/2015	შესრულებული	შესრულებული, დაგვიანებით
რეგლამენტში ცვლილებების შეტანა	01/2016	03/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
პლატფორმის შექმნა	01/2016	06/2016	შესრულებული	შესრულებული, დაგვიანებით
საინფორმაციო კამპანიის წარმოება	07/2016	09/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

**1.1 კანონპროექტებზე კომენტარის
(ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა**

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	აღნიშნული ვალდებულება ეხება პლატფორმის შექმნას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს კომენტარი დატოვონ კანონპროექტებზე (ელექტრონულად და/ან წერილობითი ფორმით). „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდ (www.matsne.gov.ge) აქვს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე ონლაინ კომენტარების დატოვების ფუნქცია, რომელიც ნებისმიერ პირს აძლევს საშუალებას მოსაზრება გამოთქვან კანონპროექტთან დაკავშირებით. თუმცა, არ არსებობს სისტემა, ეს კომენტარები გადაეგზავნოს პარლამენტს და მოხდეს მათზე რეაგირება.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების შესრულების კონცეფციის დოკუმენტი მომზადდა და წარდგენილ იქნა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ 2016 წლის 5 მარტს, ხოლო რეგლამენტის ცვლილებების დოკუმენტი 2016 წლის მაისში. 2016 ოქტომბერს დაინერგა კომენტარების სისტემა პარლამენტის ვებგვერდზე.
შეჯამება	ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებულია, რადგან საპარლამენტო საბჭომ მიიღო „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ წარდგენილი კონცეფციის დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული იყო პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი, მათი მიღება არ მომხდარა.

1.2 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ- ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები		X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს- ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელებ- ის ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციის შემუშავება	10/2015	02/2016	შესრულებული	შესრულებული, დაგვიანებით
რეგლამენტში ცვლილებების შეტანა	01/2016	03/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
პლატფორმის შექმნა	03/2016	08/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
საინფორმაციო კამპანიის წარმოება	08/2016	09/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

1.2 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში, მიღწეული იქნა შეთანხმება შექმნილიყო პლატფორმა, რომელიც მოქალაქეებს და საინიციატივო ჯგუფებს მისცემდა შესაძლებლობას ელექტრონულად წარედგინათ საკანონმდებლო ინიციატივები და წინადადებები და ასევე საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში ელექტრონულად წარედგინათ მოსაზრებები და მხარი დაეჭირათ წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებისათვის. ვალდებულება ითვალისწინებს ორ კომპონენტს: 1. საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით პარლამენტში დარეგისტრირებული ნებისმიერი წინადადება ავტომატურად გამოქვეყნდება პარლამენტის ვებ-გვერდზე და მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა ელექტრონულ რეჟიმში მხარი დაუჭირონ საკანონმდებლო წინადადებას. მხარდაჭერის შესაძლებლობა. ასევე ელექტრონულად გამოქვეყნდება საკანონმდებლო წინადადების განხილვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტები (კომიტეტის, ექსპერტთა დასკვნები და აშ.). 2. საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით- საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ ინიციატივა წარადგინონ ელექტრონულად, ასევე, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებს ექნებათ შესაძლებლობა განათავსონ კანონის პროექტი პარლამენტის ვებ გვერდზე და ელექტრონულად მიიღონ 30,000 ხელმოწერას, რის შემდეგაც კანონით დადგენილი წესით პროექტი საკანონმდებლო ინიციატივად დარეგისტრირდება და დაიწყება მისი განხილვა.²
ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების შესრულების კონცეფციის დოკუმენტი მომზადდა და წარდგენილი იქნა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ 2016 წლის 5 მარტს, ხოლო პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტი მომზადდა 2016 წლის მაისში.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების მხოლოდ ერთი კომპონენტია შესრულებული. საპარლამენტო საბჭომ მიიღო მხოლოდ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ წარდგენილი კონცეფციის დოკუმენტი. მიუხედავად იმისა რომ რეგლამენტში შესატანი ცვლილებები მომზადებულია, პარლამენტის მიერ არ მომხდარა მათი ინიცირება და მიღება. შესაბამისად არ შეიქმნა ახალი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა საკანონმდებლო ინიციატივების ელექტრონულად წარდგენას.

² საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტებია: აქვს მთავრობა, პარლამენტის წევრები, საპარლამენტო ფრაქციები, საპარლამენტო კომიტეტები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და არანაკლებ 30,000 ამომრჩეველი.

1.3 მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონსტიტუციის სრული ან ნაწილობრივი გადახედვის შესახებ კანონპროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო პროცედურების გაუმჯობესება	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ საორგანიზაციო პროცედურებში ცვლილებების შეტანა კონსტიტუციის სრული ან ნაწილობრივი გადახედვის შესახებ კანონპროექტის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

1.3 მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	აღნიშნული ვალდებულების მიზანია საქართველოს კონსტიტუციის სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა სრულყოფილი ჩართვის უზრუნველსაყოფა. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ვალდებულებას, თუმცა არ არის განსაზღვრული სავალდებულო საჯარო შეხვედრების რაოდენობა. ვალდებულება მიზნად ისახავს საყოველთაო-სახალხო განხილვებისთვის შეხვედრებისა მინიმალური რაოდენობა, და ასევე მოქალაქეთა „უკუკავშირის“ კონკრეტული ფორმების განსაზღვრას (კვლევა ვებ-გვერდის საშუალებით, უკუკავშირის კითხვარების გავრცელება შეხვედრების დროს).
ვალდებულების შესრულება	აღნიშნული ვალდებულების შესრულების საკითხი განხილულ იქნა საპარლამენტო საბჭოს შეხვედრებზე და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი, რომელიც საბოლოოდ არ იქნა ინიცირებული და მიღებული პარლამენტის მიერ.
შეჯამება	ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები განხილული და შეთანხმებული იქნა საპარლამენტო საბჭოზე. მნიშვნელოვანია პარლამენტმა დროულად შეასრულოს ვალდებულება და უზრუნველყოს ქვეყნის ძირითადი კანონის განხილვის პროცესში საზოგადოების სრული ჩართულობა.

1.4 ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X			
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
მითითებების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე პარლამენტის თავმჯდომარის განკარგულებით	10/2015	11/2015	შესრულებული	შესრულებული, დაგვიანებით

1.4 ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულება ეხება პარლამენტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას პარლამენტის შენობაში დაინტერესებული პირების შესვლასთან დაკავშირებით. ვალდებულება შემუშავდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს ინიციატივის საფუძველზე შეცვლილიყო პარლამენტის შენობაში შესვლის წესები და აღნიშნული წესების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული პარლამენტის ვებ გვერდზე თვალსაჩინო ადგილზე. „საერთაშორისო-გამჭვირვალობა-საქართველოს მიერ თავდაპირველად შეთავაზებული იყო შემდეგი წესი: პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე დასწრებისათვის ნებართვების გაცემა მომხდარიყო პარლამენტის შენობაში (ცოცხალი რიგით), და ასევე დანიშნულიყვნენ მუდმივი საშტატო თანამშრომლები, რომლებსაც პარლამენტის ვებ გვერდის ან ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდებოდნენ მოქალაქეები პლენარულ ან კომიტეტის სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში.. ამ წინადადებას მხარდაჭერა ვერ ჰპოვა პარლამენტის წევრების მხრიდან, ვინაიდან მათი მოსაზრებით ასეთი წესი საფრთხეს შეუქმნიდა უსაფრთხოებას და ასევე არ შეესაბამებოდა საკანონმდებლო ორგანოს შენობის არსებულ არქიტექტურულ გეგმას.
ვალდებულების შესრულება	2016 წლის აპრილში პარლამენტმა თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი არ არის ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისათვის, ვინაიდან პარლამენტის შენობაში შესვლის წესი უნდა მოიძებნოს როგორც ტექნიკურ და სამართლებრივ დოკუმენტებში. პარლამენტის ვებ გვერდზე არ არის მოცემული მოკლე რეზიუმე საშვის დაშვების შენობაში შესვლის ზოგადი წესების შესახებ.
შეჯამება	მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ გვერდზე განათავსდა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ (რომელიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად ასევე მოიცავს პარლამენტის შენობაში შესვლის წესებს), მიზანშეწონილია ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობისათვის, პარლამენტმა ვებ გვერდზე, თვალსაჩინო ადგილზე განათავსოს მოკლე ინფორმაცია პარლამენტში კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე დასწრების წესის შესახებ.

1.5 დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
ვალდებულების დაკისრება საკომიტეტო სხდომების დროს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთებასთან დაკავშირებით	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

1.5 დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტში დაგეგმილი ოფიციალური შეხვედრების, მათ შორის კომიტეტის სხდომების დღის წესრიგი ქვეყდება პარლამენტის ვებ-გვერდზე ონლაინ კალენდარში. თუმცა, კომიტეტის სხდომის დროს ზოგჯერ დღის წესრიგში შედის ცვლილება და ემატება განსახილველი საკითხები ასათანადო დასაბუთების გარეშე, რაც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართულობას კანონპროექტის განხილვის პროცესში. აღნიშნული მაგნე პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ რეკომენდაციით სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა ვალდებულება კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანისა შესაძლებელი იყოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში.
ვალდებულების შესრულება	„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა და საპარლამენტო საბჭოს წარუდგინა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი, თუმცა, ამ დრომდე არ განხორციელებულა კანონპროექტის ინიცირება
შეჯამება	მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა დროულად მოახდინოს პარლამენტის რეგლამენტში შესამისი ცვლილებების შეტანა და კომიტეტის დღის წესრიგში ცვლილება მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში განხორციელდეს.

1.6 საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის ღიაობის კვირეულის დაწესება	09/2015	12/2016	შესრულებული	დროულად
სტუდენტების ჩართულობა საკანონმდებლო საქმიანობაში	06/2015	12/2016	შესრულებული	დროულად
პროგრამა ვიზიტორებისთვის (საექსკურსიო ტურები გიდის თანხლებით)	01/2015	12/2016	შესრულებული	დროულად
საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.	09/2015	12/2016	შესრულებული	დროულად

1.6 საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულება გამომდინარეობს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგიიდან, რომლის მიზანია „პარლამენტის ღიაობის კვირის“ დაწესება, მნიშვნელოვან საკითხებზე-დაფუძნებული შეხვედრების, პრეზენტაციებისა და სემინარების ორგანიზება პარლამენტის კომიტეტებისა და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ჩართულობით. აღნიშნულის მიზანია საქართველოს პარლამენტში ვიზიტორთა პროგრამის დახვეწა და გამრავალფეროვნება; საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის სალექციო კურსის შემუშავებას პარლამენტარიზმის შესახებ; ახალგაზრდული და მოდელირებული პარლამენტის ინსტიტუციონალიზაციას რაც საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობს ხელს და წაახალისებს სამიზნე ჯგუფებთან, მოქალაქეებთან ორმხრივ კომუნიკაციას.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების განხორციელების ეტაპებისთვის განსაზღვრული არ არის კონკრეტული ინდიკატორები (მაგ. რამდენი საექსკურსიო ტური უნდა ჩატარდეს, ვისი ინიციატივით უნდა მოხდეს სტუდენტთა ჩართვა საკანონმდებლო პროცესშია აშ) , ამგვარად არ არსებობს მე-2, მე-3 და მე-4 ეტაპების შესრულების შეფასების კრიტერიუმი. სამოქმედო გეგმის მიღებამდე, პარლამენტი უკვე ახორციელებდა ტურებს ვიზიტორებისთვის. მათ შესახებ ინფორმაცია და გრაფიკი ხელმისაწვდომი იყო პარლამენტის ვებ-გვერდზე. ინდიკატორების არ არსებობის გამო, განხორციელების ძირითადი ეტაპები შეიძლება ფორმალურად ჩაითვალოს შესრულებულად, რადგან პარლამენტი მუდმივად უზრუნველყოფდა სტუდენტებისა და ვიზიტორების ჩართულობას და ასევე აწყოდა საგანმანათლებლო ტურებს. საქართველოს პარლამენტში პარლამენტის ღიაობის კვირა პირველად გაიმართა 2015 წლის 14-15 სექტემბერს, „გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კვირის“ (GLOW) ფარგლებში.
შეჯამება	მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი აგრძელებს საგანმანათლებლო ტურების მოწყობას სტუდენტებისა და სხვა ვიზიტორებისთვის, მნიშვნელოვანია რომ უფრო დეტალურად გაიწეროს ინდიკატორები მსგავსი ვალდებულებებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს მათი შეფასება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ასევე სასურველია, რომ პარლამენტის წევრები და თანამშრომლები სისტემატურად ატარებდეს ლექციებსა და პრეზენტაციებს პარლამენტის მუშაობასთან დაკავშირებით საჯარო სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება სასურველი იქნებოდა სამოქალაქო განათლების ხელშეწყობისთვის.

2.1 შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამართვა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციისა და ბიუჯეტის შემუშავება	09/2015	09/2016	შესრულებული	დროულად

2.1 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამართივება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პარლამენტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობა ახალი ვებ-გვერდის შექმნით ან არსებულ პარლამენტის ვებ-გვერდზე შესაბამისი ფუნქციის დამატებით. აღსანიშნავია, რომ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული რეკომენდაცია მოიცავდა შესაბამისი შუამ პირებისთვის ადაპტირებული ვებ გვერდის შექმნას და ამ ვალდებულების ასახვას სამოქმედო გეგმაში. თუმცა პარლამენტმა ამ ეტაპზე შესაძლებლად მიიჩნია მხოლოდ , მკონცეფციის შემუშავება და ბიუჯეტის განერასაქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი გაამართივებდნენ საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც აისახებოდა მომდევნო, რიგით მეორე სამოქმედო გეგმაში.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულებასთან დაკავშირებით 2016 წლის 5-6 მარტს „ღია და გამჭვირვალე მმართველობის საქართველოს საპარლამენტო საბჭომ“ მიიღო კონცეფციის დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მოამზადა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ .
შეჯამება	მიზანშეწონილია პარლამენტმა ამ მიმართულებით გადადგას ნაბიჯები რათა მოხდეს კონცეფციით გათვალსიწინებული პრინციპების განხორციელება.

2.2 საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროექტიული გამოქვეყნება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
პარლამენტის ვებ-გვერდზე კომიტეტის ყოველწლიური ანგარიშების დროულად გამოქვეყნება	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
პარლამენტის ვებ-გვერდზე წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების დასკვნების დროულად გამოქვეყნება	2015	2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

2.2 საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს კანონმდებლობისა და „ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის ფორმისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გაცემის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების #123/3/ თანახმად პარლამენტის ანგარიშები, დასკვნები და განცხადებები საჯარო ინფორმაციაა. ცალკეული საპარლამენტო კომიტეტების დასკვნები და განცხადებები არსებობს და ადვილად ხელმისაწვდომია პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუმცა, პარლამენტის კომიტეტების ყოველწლიური ანგარიშები ვებ-გვერდზე ან არ ქვეყნდება ან ქვეყნდება დაგვიანებით. საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის კანონპროექტების თანდართული დოკუმენტები განთავსებულია პარლამენტის ვებ-გვერდზე, თუმცა არასრულად. კერძოდ, კანონპროექტზე წამყვანი კომიტეტის დასკვნები დაგვიანებით, ხოლო სავალდებულო კომიტეტის დასკვნები არ ქვეყნდება ვებ გვერდზე.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების შესასრულებლად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელებულა. 15 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტების მიერ დასკვნების პროაქტიულ გამოქვეყნებას.
შეჯამება	მიზანშეწონილია, რომ პარლამენტმა მიიღოს საჭირო ცვლილებები და დროულად გამოაქვეყნოს კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტები პარლამენტის ვებ გვერდზე.

2.3 კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს კონცეფციის შემუშავება	09/2015	12/2015	შესრულებული	შესრულებულია დაგვიანებით
მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება პარლამენტის მიერ	01/2016	12/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

2.3 კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ვალდებულების შესახებ რეკომენდაცია მომზადდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (GYLA) მიერ, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს ერთიანი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო კონსულტაციებისთვის, რათა უზრუნველყოს საკითხის ზედმიწევნით რეგულირება და საზოგადოების სრულყოფილი ჩართულობა. რეკომენდაციის ავტორის განმარტებით, არ არსებობს წესები და რეგულაციები ისეთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობისაა ეფექტური კონსულტაციებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს, მისი განხორციელების პროცესში არაერთგვაროვანი პოზიცია დაფიქსირდა. პარლამენტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ წარმომადგენლები აფიქსირებდნენ პოზიციას, რომ ვალდებულების ფარგლებში ხელმეორედ უნდა შესრულებულიყო ის სამუშაო, რომელსაც კომიტეტები ისედაც აკეთებდნენ. ასევე ამრთა სხვადასხვაობა იყო სტრუქტურულ და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ აღნიშნავდა, რომ კომიტეტების კონსულტაციები კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე იმართება, და მეტწილად ემთხვევა მთავრობასა და პარლამენტში გადაწყვეტილების მიმღებთა დისკრეციულ უფლებამოსილებას. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ რეკომენდაციის თანახმად უნდა მოხდეს პარლამენტის კომიტეტებში არსებული საკონსულტაციო საბჭოს გაძლიერება საბჭოს შეხვედრების დროს ასევე გამოითქვას იდეა პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ. სამუშაო შეხვედრების განმავლობაში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ წარმოადგინა კონსულტაციების შედეგად პარლამენტის წევრებისა და საკონსულტაციო ჯგუფის წევრების შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული პროექტი, თუმცა, პარლამენტის წევრების მხრიდან სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კვლავ ვერ მოხდა შეთანხმება. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლის განცხადებით, საკონსულტაციო პროცედურის ყველა შემოთავაზებული ვერსია გააკრიტიკეს პარლამენტის წევრებმა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პარლამენტის წევრები არ იყვნენ მოტივირებული განხორციელებინათ სამოქმედო გეგმის ვალდებულება.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების შესრულების კონცეფციის დოკუმენტი მომზადდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ და დამტკიცდა „ღია მმართველობისა და გამჭვირვალობის მუდმივმოქმედი საბჭოს“ სხდომაზე 2016 წლის 5 მარტს.
შეჯამება	მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის დოკუმენტი დამტკიცდა საბჭოს სხდომაზე პარლამენტს არ შეუმუშავებია მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო.

2.4 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციისა და ბიუჯეტის შემუშავება	09/2015	09/2016	ნაწილობრივ შესრულებული	მიმდინარეობს

2.4 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	არსებული მდგომარეობით, პარლამენტში არ არსებობს სათანადო დონეზე ფუნქციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტ-ის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულ გამოქვეყნებას პარლა- მენტის ვებგვერდზე მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, არ არსებობს კანონპროექტის სხვადასხვა ვერსიებს შორის არსებული სხვაობების ელექტრონულ ფორმატში ნახვის (შედარების) ტექნიკური შესაძლებლობა. რაც ერთმნიშვნელოვნად აფერხებს პროცესის მონაწილე აქტორების სათანადო ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების კონცეფციის დოკუმენტი მომზადდა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ და დამტკიცდა 2016 წლის 5 მარტს. როგორც პარლამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, მომავალი სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში შესაძლებელი იქნება ასეთი სისტემის ფუნქციონირება.
შეჯამება	საპარლამენტო საბჭომ საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად უნდა დაიწყოს მუშაობა კონცეფციის დოკუმენტის ბიუჯეტის პროექტზე

2.5 პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დანწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად გამოქვეყნება	09/2015	ამ კონკრეტული ეტაპის დასრულების თარიღი გამოტოვებულია (უცნობი მიზეზების გამო). ამგვარად ვივარაუდებთ განხორციელების ყველაზე ბოლო ვადას (12/2016).	არ არის შესრულებული	
პარლამენტის ვებ-გვერდზე პარლამენტის წევრების კითხვებისა და გაცემული პასუხების პროაქტიული გამოქვეყნება	09/2015	ამ კონკრეტული ეტაპის დასრულების თარიღი გამოტოვებულია (უცნობი მიზეზების გამო). ამგვარად ვივარაუდებთ განხორციელების ყველაზე ბოლო ვადას (12/2016).	შესრულებული	
პარლამენტის ვებ-გვერდზე საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების ყოველწლიური ანგარიშების შემუშავება და პროაქტიული გამოქვეყნება	09/2015	09/2016	შესრულებული	დროულად

2.5 პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმს წარმოადგენს პარლამენტის წევრების უფლებამოსილება: დაუსვას სადეპუტატო კითხვა ანგარიშვალდებულ ორგანოს კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პარლამენტის წევრს უფლება აქვს, კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადაში, 15 დღეში გასცეს შეკითხვას წერილობითი პასუხი. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი. პარლამენტის წევრთა მიერ დასმული კითხვები და მიღებული პასუხები საჯარო ინფორმაციაა და ხდება მათი პროაქტიულად გამოქვეყნება. „ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის ფორმისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გაცემის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება #123/3/ არეგულირებს საპარლამენტო ინფორმაციის გამოქვეყნებას პარლამენტის ვებ-გვერდზე და ელექტრონული ფორმების საშუალებით სადეპუტატო შეკითხვის გაგზავნის წესებს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსებულია სადეპუტატო კითხვები, პარლამენტის ვებ გვერდზე არ არის მოცემული დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები გაგზავნილი კითხვებისა და მიღებული პასუხების შესახებ. ასევე პარლამენტის ვებ გვერდზე არ არის განთავსებული სრული ინფორმაცია აპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების საქმიანობის და ანგარიშებისა შესახებ ხელმისაწვდომი არ არის პარლამენტის ვებ-გვერდზე.
ვალდებულების შესრულება	2015 წლის 5 მარტს, მუდმივმოქმედი საბჭოს შეხვედრაზე, პარლამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულების განხორციელება საჭიროებდა პარლამენტის არსებული ვებ-გვერდის მნიშვნელოვან სტრუქტურულ და ტექნიკურ განახლებას. შესაძლებელი იყო ამ ვალდებულების დროულად შესრულება. არსებული მდგომარეობით პარლამენტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია დეპუტატების კითხვებისა და პასუხების ჩამონათვალი. 15 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ ცვლილება შეიტანა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შესახებ ბრძანებაში, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო დეპუტატების კითხვებისა და მიღებული პასუხების, ასევე საპარლამენტო დელეგაციების ყოველწლიური ანგარიშების პროაქტიული გამოქვეყნება. თუმცა ბრძანებაში არ ითვალისწინებს სადეპუტატო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას.
შეჯამება	მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის ჩამონათვალში და პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსდეს სადეპუტატო კითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკურ ინფორმაცია.

2.6 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დანწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საჯარო კონსულტაციების ჩატარება ერთიანი სტანდარტების შემუშავების მიზნით	09/2015	03/2016	შესრულებული	დროულად
პარლამენტის ბიუროს მიერ მითითებების მიღება განმარტებითი ბარათის შინაარსის გაუმჯობესებისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის შესახებ	03/2016	06/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

2.6 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტის რეგლამენტი და „ნორმატიული აქტების შესახებ კანონი“ განსაზღვრავს იმ კომპონენტებს, რომელსაც უნდა მოიცავდეს კანონპროექტთან დაკავშირებით შედგენილი განმარტებითი ბარათი. ზოგადად, განმარტებითი ბარათის არსებობა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროების, მიზეზების, სავარაუდო ხარჯებისა და შედეგების შესახებ. ჩვენს კანონმდებლობაში არსებული ზოგადი რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს კანონპროექტთან დაკავშირებით გემოაღნიშნული კრიტერიუმების განმარტებით ბარათში ასახვას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ შეთავაზებულ იქნა ვალდებულება განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის ახალი სტანდარტის დანერგვის შესახებ, რომელიც შემუშავდებოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე და უზრუნველყოფდა საზოგადოებისათვის ინიცირებული კანონპროექტის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.
ვალდებულების შესრულება	„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ და პარლამენტის იურიდიულმა დეპარტამენტმა ერთობლივად იმუშავეს განმარტებითი ბარათის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე. მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო საკონსულტაციო ჯგუფის წევრი ორგანიზაციების რეკომენდაციები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინადადების თანახმად, განმარტებითი ბარათები უნდა შეიცავდეს არსებულისაგან განსხვავებით უფრო ვრცელ და დეტალურ ინფორმაციას კანონპროექტის მიზანის, მიზეზის, შედეგებითი ანალიზის, ფინანსური დასაბუთების და სხვადასხვა მიმართულებებზე ზეგავლენის შესახებ. მიუხედავად იმისა რომ, სამუშაო შეხედრების დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით რეგლამენტში და „ნორმატიული აქტების შესახებ კანონში“ ცვლილებების პროექტი მომზადდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ მისი ინიცირება პარლამენტში არ განხორციელებულა.
შეჯამება	მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა გამოხატოს პოლიტიკური ნება და განმარტებითი ბარათი უფრო მეტად შინაარსობრივად ინფორმაციული გახადოს და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში.

3.1 პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
რეგლამენტში შესწორებების შეტანა	10/2015	10/2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
საკანონმდებლო დოკუმენტების გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე რედაქტირებად ფორმატში (მაგ:HTML / MS Word)	10/2015	07/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

3.1 პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოცემულია ინიცირებული კანონპროექტები, ხმის მიცემის შესახებ ჩანაწერები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა სკანირებული ან PDF ფორმატითა წარმოდგენილი. ასევე საიტზე განთავსებულია პლენარულ სხდომებზე დასწრების შესახებ მონაცემები, თუმცა დოკუმენტები არ არის ხელმისაწვდომი ღია ფორმატით. სკანირებულ PDF ფორმატში მოცემული დოკუმენტები ადვილად წაკითხვადია, მაგრამ არ არის პრაქტიკული სხვა მიზნებისათვის. ასეთი პრაქტიკა ართულებს გამოქვეყნებული დოკუმენტების პრაქტიკულ გამოყენებას, განსაკუთრებით მონაცემთა ანალიზის შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულების მიხედვით, პარლამენტმა ვებ გვერდზე ყველა დოკუმენტი უნდა ატვირთოს რედაქტირებადი ფორმატით. სამუშაო შეხვედრებზე დაფიქსირებული პოზიციის მიხედვით, პარლამენტი თანახმაა ღია ფორმატთან დაკავშირებული იგივე მოთხოვნა დააწესოს კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ პარლამენტში შემოსულ დოკუმენტზე.
ვალდებულების შესრულება	რედაქტირებად ფორმატში დოკუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები არ შესულა პარლამენტის რეგლამენტში. ასევე არ შეცვლილა არსებული პრაქტიკაც.
შეჯამება	მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ინფორმაციის რედაქტირებად ფორმატში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

3.2 ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	X
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
პარლამენტის ელექტრონული ახალი ამბების მოდულის შექმნა	09/2015	12/2015	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
არსებულ პარლამენტის ვებ-პორტალზე დამატებითი ინტერაქციული მოდულების/ფუნქციების დამატება	09/2015	12/2016	არ არის შესრულებული	დროულად
საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო/საგანმანათ-ლებლო ვირტუალური ტურის შექმნა	01/2016	09/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
საქართველოს პარლამენტის ვებ-მომსახურებათა მობილური აპლიკაციის შემუშავება	09/2015	09/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული
პარლამენტის ვებ-გვერდის რესტრუქტური-ზაციის წინადადების პროექტის შემუშავება	09/2015	12/2016	მიმდინარეობს	დროულად

3.2 ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მთავარ ამოცანებს და კომუნიკაციის პრინციპებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც: ა) ხელს შეუწყობს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიამე საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების ამაღლებას; ბ) უზრუნველყოფს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობასა და პროგრამებში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას; და გ) შექმნის ხელსაყრელ გარემოს და გააუმჯობესებს საზოგადოებასთან ორმხრივ კომუნიკაციას ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით. საპარლამენტო საქმიანობაში, მათ შორის კანონშემოქმედებით პროცესში, საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, კომუნიკაციის სხვადასხვა პლატფორმისა და არხის საშუალებით მოქალაქეთათვის დროული, რეგულარული და პროფესიული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს პარლამენტი გეგმავს მრავალფეროვანი საკომუნიკაციო მასალების შემუშავებას და ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას.
ვალდებულების შესრულება	საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ ფარგლებში ერთობლივად მუშაობენ პარლამენტის ვებგვერდის საჭიროებების შეფასებაზე, რაც აღნიშნული ვალდებულების შესრულების წინაპირობას წარმოადგენს. ვალდებულების სხვა არც ერთი ეტაპი ამ პერიოდისთვის არ შესრულებულა.
შეჯამება	მიზანშეწონილია, რომ პარლამენტმა შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ საპარლამენტო საბჭოს წარუდგინოს ვებ-გვერდზე სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შესახებ განრიგითა და საჭირო ცვლილებები დროულად განხორციელდეს.

**4.1 ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი
საპარლამენტო საბჭოს შექმნა**

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
				X
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციის შემუშავება	09/2015	10/2015	შესრულებული	დროულად
რეგლამენტში ცვლილებების შეტანა	09/2015	10/2015	შესრულებული	დროულად
საბჭოს შექმნა	11/2015	12/2015	შესრულებული	დროულად

4.1 ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ რეკომენდაციის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა ვალდებულება „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ შექმნის შესახებ. საბჭოს ძირი ამოცანაა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ წარმოადგენს ინტერფრაქციული ჯგუფის ერთგვარ უფლებამონაცვლეს და დაკომპლექტებულია პარლამენტის წევრებისაგან. საბჭოსთან არსებობს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ საკონსულტაციო ჯგუფმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ მოსაზრებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენაში, არამედ ასევე საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტების მომზადებაში. საკონსულტაციო ჯგუფი ასევე ტექნიკურ დახმარებას უწევდა მუდმივმოქმედ საბჭოს. სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული ვალდებულებების ავტორმა ორგანიზაციებმა ძირითადად თვითონ შეადგინეს კონცეფციები თუ დაწერეს საკანონმდებლო ცვლილებები და საბჭოზე წარადგინეს განსახილველად. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო“ ხელმძღვანელობდა განმარტებითი ბარათის ვალდებულებასთან დაკავშირებულ ცვლილებათა პროექტის შემუშავების პროცესს და მის წარდგენას საკონსულტაციო ჯგუფისა თუ საბჭოს წინაშე.
ვალდებულების შესრულება	2015 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #195/3 ბრძანების თანახმად, დაფუძნდა „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო“. ამგვარად ამ კონკრეტული ვალდებულების ყველა ინდიკატორი შესრულდა დროულად.
შეჯამება	2015 წლის 30 დეკემბერს დაფუძნების შემდეგ, საპარლამენტო საბჭომ საკონსულტაციო ჯგუფის მონაწილეობით გამართა ოთხი შეხვედრა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრები ზოგადად შედეგის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, დროულად არ დაიგეგმა და განხორციელდა საჭირო ცვლილებები. მიზანშეწონილია, რომ მომავალ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაში პარლამენტმა განსაზღვროს ზუსტი გრაფიკი ყველა საჭირო კონცეფციისა და ცვლილებების მიღებასთან დაკავშირებით.

**4.2 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების
ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება**

	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ- ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	X	X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს- ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელებ- ის ძირითადი ეტაპები	დანყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
საქართველოს პარლამენტისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება	12/2012	Annual	შესრულებულია	დროულად

4.2 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	ყოველწლიური შეხვედრები საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დაიწყო 2012 წელს. ეს ტრადიცია მნიშვნელოვანი პლატფორმაა პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგისთვის, რადგან ეხება ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხებს. 2013 წლის დეკემბერში, პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელშიც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ყოველწლიური შეხვედრების საჭიროებას
ვალდებულების შესრულება	ვალდებულებაში ხაზასმულია პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შეხვედრების პერიოდულად გამართვის საჭიროება. შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 12 დეკემბერს.
შეჯამება	მიმანშენონილია, რომ გაგრძელდეს ახალი მოწვევის პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური შეხვედრების პრაქტიკა.

4.3 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X	X	
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
		X		
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
კონცეფციის შემუშავება	09/2015	12/2015	შესრულებული	დროულად
პარლამენტის მიერ კონცეფციის განხილვა	01/2016	06/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

4.3 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის პირველი მუხლის თანახმად, პარლამენტმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია“. აღსანიშნავია, რომ კონცეფციის პირველადი პროექტი უკვე შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ოფიციალური ვერსია 2014 წელს და გამართა საჯარო განხილვები ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან, ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან საქართველოს 7 ქალაქში.
ვალდებულების შესრულება	ვალდებულების კონცეფცია მომზადდა და წარმოდგენილ იქნა „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ და მოიწონა მუდმივმოქმედმა საბჭომ. მიუხედავად ამისა, პარლამენტს არ განუხლავს და შესაბამისად არ მიუღია კონცეფციის დოკუმენტი.
შეჯამება	მიზანშეწონილია, რომ მუდმივმოქმედმა საბჭომ წარუდგინოს კონცეფციის დოკუმენტი პარლამენტს შემდგომი რეაგირებისა და განხილვისათვის.

4.4 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ პრინციპები	ინფორმაციაზე წვდომა	ანგარიშ-ვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
		X		
პოტენციური ზეგავლენა	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანს-ფორმაციული
			X	
ვალდებულების განხორციელების ძირითადი ეტაპები	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	შესრულების მდგომარეობა	დროულობა
სამუშაო ჯგუფის შექმნა საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის შემუშავების მიზნით	2015	2015	შესრულებული	დროულად
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის შემუშავება	2015	2015	შესრულებული	დაგვიანებული
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით საჯარო განხილვების გამართვა	2015	2016	შესრულებული	დროულად
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის მიღება	2016	09/2016	არ არის შესრულებული	დაგვიანებული

4.4 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

ინფორმაცია ვალდებულების შესახებ	პარლამენტის წევრებმა 2004 წელს ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების დოკუმენტს ეთიკის წესების შესახებ. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ განხილულა და დამტკიცებულა პარლამენტის წევრების მერ სა შესაბამისად, მას დღეს იურიდიული ძალა არ გააჩნია. პარლამენტს არ აქვს პარლამენტის წევრების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევებზე რეაგირებისთვის ეფექტური მექანიზმი და მოქალაქეებს არ შეუძლიათ წარადგინონ პრეტენზიები კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით. „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) იყო ინიციატორი ვალდებულებისა, რომ მომხდარიყო ახალი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის კოდექსის შემუშავება პარლამენტის წევრებისთვის. „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ მოამზადა კოდექსის კონცეფციის პროექტი და გადაუგზავნა ის მუდმივმოქმედ საბჭოს 2016 წლის თებერვალში. პროექტის პირველადი შეჯერებული ვერსია წარდგენილ იქნა მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომაზე 2016 წლის მარტში. საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გათვალისწინების შემდეგ კიდევ ერთხელ იქნა წარდგენილი და განხილული 2016 წლის აპრილში. აპრილში წარმოდგენილ იქნა ეთიკის კოდექსის პროექტის ორი ვერსია. პირველი ითვალისწინებდა ეთიკის ქვეკომიტეტის შექმნას, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა დაენახებინა დისციპლინური სანქციები პარლამენტის წევრებზე ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში. მეორე ვერსიის თანახმად, შემოთავაზებული იქნა მუდმივმოქმედი ეთიკის სამსახურის შექმნა, სამსახურში შეიქმნება დირექტორთა საბჭო, დაკომპლექტებული ხმათა უმრავლესობით არჩეული ექვსი არა-პარტიული პირისგან. ეთიკის სამსახური მიაწვდიდა ინფორმაციას საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს ამ კოდექსის ნებისმიერი დარღვევის შესახებ და მისცემდა რეკომენდაციას შესაბამისი სანქციების გამოყენების შესახებ.
ვალდებულების შესრულება	2016 წლის მაისში „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ გამართა შეხვედრა მუდმივმოქმედი საბჭოს წევრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ასევე „კონგრესის ეთიკის სამსახურის“ მოწვეულ თანამშრომლებთან, რათა დეტალურად განეხილათ ეთიკის კოდექსის შინაარსი და სტრუქტურა. საკონსულტაციო ჯგუფის წევრებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა საბჭოს პოზიცია, რომ აღნიშნული ვალდებულება შემდეგი მოწვევის პარლამენტს უნდა შეესრულებინა. საბჭოს სხდომაზე ეთიკის კოდექსის ზოგიერთ ნაწილზე მოხდა შეთანხმება, თუმცა მერვე მოწვევის პარლამენტს არ გამოუხატავს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის პოლიტიკური ნება.
შეჯამება	მნიშვნელოვანია, რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტმა დროულად მიიღოს ეთიკის კოდექსი და ასევე განსაზღვროს შესაძლო დარღვევებზე რეაგირებისა და ზედამხედველობის მექანიზმები.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია 2017-2018 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაში ეფექტური ნაბიჯები გადაიდგას პარლამენტის ღიაობის, გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით და ამასთანავე, გათვალისწინებულ იყოს წინა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, მაგრამ შეუსრულებელი ვალდებულებები. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის, ღიაობისა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიღწევა მუდმივი პროცესია. ეფექტური შედეგის მისაღწევად აუცილებელია პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება და სამოქმედო გეგმის შედგენა არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ვალდებულებებს:

- **საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა,** მათ შორის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკანონმდებლო პროცესში შემუშავებული დოკუმენტები ვებ გვერდის საშუალებით ღია და დამუშავებული ფორმატით. ამასთანავე მიზანშეწონილია, რომ სამივე მოსმენის შემდეგ კანონპროექტებში შეტანილი ცვლილებები აისახოს განმარტებით ბარათში. ასევე პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს სადეპუტატო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკა და შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პარლამენტის ვებ გვერდზე.

- **საკანონმდებლო განხილვებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობა,** დაინტერესებული პირების საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ჩართვა რამდენიმე საშუალების ეფექტური გამოყენებით უნდა განხორციელდეს, მაგ. კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა, პარლამენტის შენობაში შესვლის წესების გამარტივება, კანონპროექტზე მოქალაქეთა კომენტარებზე რეაგირება და აშ.

- **საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა პარლამენტის საქმიანობის შესახებ,** პარლამენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. პარლამენტი აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქტიურად უნდა იყენებდეს ვებ გვერდს, სოციალურ ქსელებს და კომუნიკაციის სხვა საშუალებებს. მნიშვნელოვანია, პარლამენტის კომიტეტებისა თუ ფრაქციების აქტივობის გარდა, ცალკეული პარლამენტის წევრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი, შესაძლებელია მათთვის ინდივიდუალური ვებგვერდის შექმნაც.

